ო ქ მ ი

IV სემინარი

# მრგვალი მაგიდების ციკლი –
# „ენერგოსექტორი საზოგადოების ზედამხედველობის ქვეშ!“

თბილისი 27.1.2005
გუდიაშვილის 10, დიუმას ცენტრი

დღის წესრიგი

| | |
|---|---|
| 14:00 – 14:10 | მონაწილეთა რეგისტრაცია |
| 14:10 - 14:30 | ინფორმაცია წინა შეხვედრის შესახებ<br>მომხსენებელი, პროექტის მენეჯერი ლ. თავართქილაძე (სენი) |
| 15:00 - 15:30 | მოსაზრებების გამოთქმა |
| 15:45 - 17:00 | დისკუსიები და რეკომენდაციები, შეხვედრის შეჯამება |

# მონაწილეთა სია

| № | სახელი | ორგანიზაცია | თანამდებობა | ტელეფონი | ელ. ფოსტა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | ნოდარ კაპანაძე | ესმა ნუცუბიძე | - | 322779 | - |
| 2. | თამაზ ბაინდურაშვილი | ესმა ნუცუბიძე | - | 321293 | - |
| 3. | არჩილ ღიბრაძე | ესმა ნუცუბიძე | - | 326923, 899 116142 | - |
| 4. | ლეილა თიგიშვილი | ესმა ნაძალადევი | - | 662517 | - |
| 5. | ლუბა პატარაია | ესმა ნაძალადევი | - | 660319 | - |
| 6. | რუსუდან ქსოვრელი | ესმა დიდუბე | - | 352885 | - |
| 7. | ნონა მიქაბერიძე | ესმა ვარკეთილი | - | 792144, 893 186806 | - |
| 8. | მზია სამადაშვილი | ესმა ვარკეთილი | - | 796074 | - |
| 9. | ლარისა სუხიშვილი | ესმა ავლაბარი | - | 743332, 893 649398 | - |
| 10. | დარეჯან ჯინჭარაძე | ესმა ავლაბარი | - | 742322 | - |
| 11. | გულიკო ივანიშვილი | ესმა ოქროსუბანი | - | 950434 | - |
| 12. | ნინო ჯიქიძე | ესმა ოქროსუბანი | - | 942372 | - |
| 13. | ნანა ჯანაშია | CENN | აღმასრულებელი დირექტორი | 923946, 899577722 | nana.janashia@cenn.org |
| 14. | ირინა ქიტიაშვილი | CENN | | 923946, 899572786 | irina.kitias hvili@cenn.org |
| 15. | დავით კიღურაძე | CENN | APM | 923946, 899949423 | david.kiguradze@cenn.org |
| 16. | დავითი გაბუნია | CENN | APM | 923946, 899400507 | david.gabunia@cenn.org |
| 17. | გოჩა ჩეკურიშვილი | CENN | APM | 923946 | gocha.chekurishvili@cenn.o g |
| 18. | გიორგი ჯაფარიძე | CENN | APM | 923946, 899101265 | goga.japaridze@cenn.org |
| 19. | ლევან თავართქილაძე | CENN | Project Manager | 923946, 899709170 | levan.tavartkiladze@cenn.or g |
| 20. | ნინო გუჯარაიძე | მწვანე ალტერნატივა | დირექტორი | 990472, 899902520 | ngujaraidze@wanex.net |
| 21. | გია სოფაძე | ეკოხედვა | დირექტორი | 899 902520 | sopgia@hotmail.com |
| 22. | თორნიკე წიტაიშვილი | ჯანდაცვის სამინისტრო | საპენსიო პოლიტიკის სამმ. უფროსი | 38 98 49 | |
| 23. | მერაბ მექვაბიშვილი | სოც. დაზღვევის ერთიანი სახ. ფონდი | სოციალური პროგრამების დეპ. | 69 03 31 | |
| 24. | მურმან სვანიძე | ლტოლვ. და განსახლების სამ. | სოც. და განახლების დეპ. | 899 41 61 11 | |
| 25. | ნინო ამონაშვილი | თავისუფლების ინსტიტუტი | კოორდინატორი | 93 66 15 | |
| 26. | დათო ლეჟავა | თავისუფლების ინსტიტუტი | პროექტის დირექტორი | 93 66 15 | |
| 27. | ლევან მურუსიძე | თელასი | საზ. ურთ. განყოფილება | 899 545556 | levan.murusidze@telasi.ge |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 28. | ვიოლეტა ჭუბაბრია | დევნილი | | 75 42 39 | |
| 29. | ნუნუ სანაია | დევნილი | | 72 34 48 | |
| 30. | ნანა ხურცილავა | დევნილი | | 72 00 56 | |
| 31. | თამარ ნოსელიძე | სემეკი | საზ. ურთ. დეპარტამენტი | 899 111686 | tamuna_noselidze@georgiasys.com |
| 32. | ნინო კიკაჩეიშვილი | ენერგეტიკის სამინისტრო | პრეს-სამსახური | 893332111/932187 | nkikacheishvili@yahoo.com |
| 33. | მანანა დადიანი | ენერგოეფექტურობის ცენტრი | განახლ.ენერგიის დეპარტამენტი | 921640/99 | m_dadi@eecgeo.org |
| 34. | ნინო კიკაჩეიშვილი | ენერგეტიკის სამინისტრო | პრეს-სამსახური | 932187 | nkikavheishvili@hayoo.com |

დაინტერესებული მხარეები:

1. „ესმა“-ები;
2. თელასი;
3. სემეკი;
4. საბითუმო ბაზარი;
5. სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო;
6. ქ. თბილისის მერია;
7. სახალხო დამცველი;
8. USAID;
9. გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია, PA Consulting;
10. თავისუფლების ინსტიტუტი;
11. აფხაზეთიდან დევნილები;
12. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო;
13. Save The Children.

## მრგვალი მაგიდების ციკლი –
## „ენერგოსექტორი საზოგადოების ზედამხედველობის ქვეშ!“

თბილისი 27.1.2005
გუდიაშვილის ქ. 10, დიუმას ცენტრი

საკითხები:

- ელექტრონერგიაზე სახელმწიფო სუბსიდიების საკითხი;
- გარე (ქუჩის) განათების საკითხი.

სემინარის ფასილიტატორი ლ. თავართქილაძე, "სენი".

მრგვალ მაგიდას ესწრებოდა 40 ადამიანი, მათ შორის "ესმა-ების" ყველა წარმომადგენელი.

14:10

ფასილიტატორმა გახსნა შეხვედრა და მონაწილეებს აცნობა, რომ დღევანდელი შეხვედრა იქნებოდა მცირედ განსხვავებული, რადგანაც მას ესწრებოდნენ დევნილები, რომელთაც ქონდათ გარკვეული პრობლემები ელექტროენერგიის მიწოდებასთან დაკავშირებით.

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წარმომადგენელმა მ. სვანიძემ მრგვალი მაგიდის მონაწილეებს განუმარტა ის მდგომარეობა, რომელშიც იმყოფებოდნენ დევნილები ელექტროენერგიის მიწოდებასთან დაკავშრებით. მისი მოსაზრებით დევნილებს გააჩნდათ რამოდენიმე პრობლემა, კერძოდ: დახარჯული ელექტროენერგიის მრიცხველზე აღრიცხვის საკითხი, თელასის მიერ მრიცხველების თვითნებური გადაადგილების საკითხი.

მ. სვანიძის მიერ დასმული საკითხების ირგვლივ კომენტარი გააკეთა თელასის წარმომადგენელმა ლ. მურუსიძემ. მან დევნილების წარმომადგენლებს მისცა რჩევები:

1. მრიცხველის მიერ დახარჯული ელექრტროენერგიის დანახარჯის არასწორად აღრიცხვასთან დაკავშირებული ეჭვის არსებობის შემთხვევაში მიემართათ თელასის ან ლიცენზიის მქონე ნებისმიერი ლაბორატორიისათვის;
2. მრიცხევლების გადაადგილებისას თელასი ხელმძღვანელობს უსაფრთხოების ნორმებით გათვალისწინებული მოთხოვნებით, წორედ ეს იქნებოდა მიზეზი დევნილთა საცხოვრებელ ბინაში მრიცხველის გადაადგილებისა;
3. გამრიცხელიანება არის უფასო პროცედურა, იმ შემთხვევაში, თუ მოსახლე უკვე აბონირებულია. თუ მოსახლე არ არის აბონირებული, ამ შემთხვევაში მომსახურება არის ფასიანი. საცხოვრებელი ადგილის მდებარეობის

გათვალისწინებით, ან უსაფრთხოების ნორმებისაგან გამომდინარე, შესაძლებელია დაიდგას ინდივიდუალური ან ჯამური მრიცხველები.

დევნილებისა და თელასის წარმომადგენლები შეთანხმდნენ სამომავალო თანამშრომლობაზე, ასე დაისახა "სენის", "ესმა"-ებისა და დევნილთა შორის მომავალი ურთიერთობის გეგმები.

ამის შემდგომ მრგვალი მაგიდა გაგრძელდა გეგმის შესაბამისად. ფასილიტატორმა პრეზენტაციისთვის სიტყვა მისცა ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის წარმომადგენელს ლ. კვიტიძეს. ლ. კვიტიძის ინფორმაციით დაწყებულია ქალაქის ქუჩების მთლიანად განათების პროცესი, დაფინანსებასა და ტექნიკურ აღჭურვილობასთან დაკავშირებით არანაირი პრობლემა არ არსებობს. "ესმა"-თა წარმომადგენლების კითხვები შეეხო კონკრეტულ ქუჩებს, სადაც საერთოდ არცერთი ნათურა არ ინთება. ლ. კვიტიძის განცხადებით მთავარი ქუჩები და მაგისტრალები მთლიანად იქნება განათებული 2005 წელს, ხოლო კვარტლების შიგნით მდებარე ქუჩებისა და ჩიხების განათება დასრულებული იქნება 2006 წელს. რაც შეეხება უკვე განათებულ-აღდგენილ ქუჩებს, მათი სრული სია გამოქვეყნდება პრესაში 2005 წლის თებერვლის ბოლოს.

კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის წარმომადგენლის გამოსვლი შემდგომ გამოცხადდა შესვენება 15 წუთით.

15:45 – მრგვალი მაგიდის დასკვნითი ნაწილი

ფასილიტატორმა სიტყვა მისცა ქ. თბილისის მერიის ენერგეტიკული სამსახურის უფროსს ო. გიორგობიანს.

ო. გიორგობიანმა მოკლედ მიმოიხილა ენერგეტიკულ სამსახურში არსებული სიტუაცია. მისი განცხადებით, 1999-2000წწ. ენერგეტიკული სამსახური არასრულფასოვანი სახით ფუნქციონირებდა. 2004 წელს სამსახურს მიენიჭა ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ყველა უფლებამოსილება. "ესმა"-თა არმომადგენელის ა. ღიბრაძის დაინტერესება გამოიწვია წყასაქაჩების დაქვემდებარების საკითხმა. მისი განცხადებით, ნუცუბიძის ფერდობის მოსახლეობა განიცდის სასმელი წყლის მწვავე დეფიციტს. ამის მიზეზია ნუცუბიძეზევე მდებარე წყალსაქაჩის მდგომარეობა. გამოსაცვლელია ძრავები, რომლებიც დიდი ხანია ამორტიზირებულია. ო. გიორგობიანის განცხადებით წყალსაქაჩი ობიექტები ჯერჯერობით არ ირიცხებიან ენერგეტიკული სამსახურის ბალანზე, თუმცა მიმდინერეობს საქალაქო სამსახურებს შორის კომპეტენციების გადანაწილების პროცესი და "ესმა"-თა წარმომადგენლებმა შესაძლოა ძალიან დადებითი და საჭირო როლი ითამაშონ ამ პროცესში.

შემდგომ, სიტყვა მიეცა სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის წარმომადგენელს მ. მექვაბიშვილს. მან, ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელთან თ. წიტაიშვილთან ერთად მრგვალი მაგიდის მონაწილეებს განუმარტა, თუ როგორ შედგა მოსახლეობისათვის ელექტროენერგიის ყოველთვიური დახმარების ოდენობა, როგორ ხდება ამ თანხის გაცემა და ვინ არის ის კონტინგენტი, ვისაც სახელმწიფო ამ დახმარებას უხდის. "ესმა"-თა წარმომადგენლების ინტერესი გამოიწვია ამ დახმარებების გაცემის თარიღმა. თანხა აბონენტს ეძლევა პენსიასთან ერთად, ანუ თვის ბოლოს, ხოლო თელასი კი, იმ შემთხვევაში, თუ აბონენტი არ დაფარავს დავალიანებას ყოველი თვის 25

რიცხვამე, მას უწყვიტავს ელექტროენერგიის მიწოდებას. ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელის თ. წიტაიშვილის განმარტებით, ეს პრობლემა, რეალურად, მხოლოდ თანხის გაცემის პირველ თვეში, ანუ, თებერვალში იარსებებს, რადგანაც, შემდგომ თვეებში მოსახლეობა უკვე გადაინახავს ელექტროენერგიის გადასახადის სავარაუდო ოდენობის თანხას, რადგანაც ამის საშუალება მას უკვე ექნება.

მრგვალი მაგიდის ბოლოს მონაწილეები შორის მიმდინარეობდა ზოგადი ხასიათის საუბრები მათთვის საინტერესო თემებზე.

## IV mrgvali magidis dros wamoWrili sakiTxebis mokle anotacia

- დევნილები განიცდიან პრობლემებს ელექტროენერგიის მიღებასთან დაკავშრებით;
- არ არსებობს კოორდინირებული ურთიერთობა დევნილთა და განსახლების სამინისტროს და თელასს შორის;
- დევნილებს შორის შესაძლებელია ჩამოყალიბდეს "ესმა", ან ისინი დაუკავშირდნენ ტერიტორიულად ყველაზე ახლოს მდებარე "ესმა"-ებს გამოცდილების შესაძენად;
- 2005 წელს ყველა ცენტრალური ქუჩა და მაგისტრალი იქნება განათებული;
- 2006 წელს დასრულდება თბილისის ყველა ქუჩის განათების პროცესი;
- მერიის ენერგეტიკული სამსახური "ესმა"-ებთან საქმიანი ურთიერთობის მომხრეა;
- სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო სამსახური ურჩევს "ესმა"-თა წარმომადგენლებს მათ საცხოვრებელ კორპუსებში კონდომინიუმების ჩამოყალიბებას.

ოქმი მოამზადა გ. ჯაფარიძემ

27.1.2005